1974/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისანი, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (400)

1974 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 5 (400) მაისი 1974 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319, ქ. ჭიათურის ზოდის № 218 და ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 105 საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საჩხერის რაიონის სახალხო მოსამართლის ო. პ. სტურუას განთავისუფლებისა და სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.

86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

განყოფილება მეორე

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. დ. აგიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ა. მარგოსს ს. ბ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ფირცხ-ლავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. ციმაკუ-რიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. მარგვე-ლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1974 წლის 4 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 გეგეჭკორის რაიონის განძის № 319, ქ. ჭიათურის ზოდის № 218 და ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 105 საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დანიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატებისა, გეგეჭკორის რაიონის განძის № 319, ქ. ჭიათურის ზოდის № 218 და ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 105 საარჩევნო ოლქებში კვირას, 1974 წლის 16 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 საჩხერის რაიონის სახალხო მოსამართლის ო. ჯ. სტურუას განთავისუფლებისა და სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. განთავისუფლდეს ამხ. ოთარ პარმენის ძე **სტურუა** საჩხერის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს საჩხერის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის 26 მაისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით თუ საშუალებით, როცა ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ისჯება ადმინისტრაციული წესით ჯარიმით 50 მანეთამდე, ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალებების კონფისკაციით.

დაჯარიმებას, ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალების ჩამორთმევას ახდენენ ნადირობის წესების დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები.

2. დაწესდეს, რომ ნადირობით მოპოვებული ძვირფასბეწვიანი სახეობის ნადირის ტყავის სახელმწიფოსათვის ჩაბარებისაგან თავის არიდება, აგრეთვე გამოუყვანელი ანდა გამოყვანილი, მაგრამ სახელმწიფო დამღადაუსმელი (შტამპდაუსმელი) ასეთი ტყავის უკანონო შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა და გადამუშავება, თუ ეს ჩადენილია პირველად, —

ისჯება ადმინისტრაციული წესით ჯარიმით 50 მანეთამდე, ტყავის კონფისკაციით.

მასალას ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის შესახებ განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

ნუსხას ნადირობის დროს მოპოვებული ძვირფასბეწვიანი ნადირის იმ სახეობებისა, რომელთა ტყავის სახელმწიფოსათვის ჩაბარება სავალდებულოა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ჩამორთმეული თოფების, სხვა სანადირო საშუალებების და ტყავის რეალიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საქართველოს სსრ სისტლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 177. უკანონო ნადირობა

ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით თუ საშუალებით, როცა ეს ქმედობა ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორას მანეთამდე, ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალებების კონფისკაციით.

ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებსა და აღკვეთილებში ან ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, ან ნადირობა იმ ნადირსა და ფრინველზე, რომლებზეც ნადირობა მთლიანად არის აკრძალული ან უკანონო ნადირობა, რომელმაც დიდი ზიანი გამოიწვია,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალებების კონფისკაციით“.

4. საქართველოს სსრ სისტლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 177^1 მუხლი:

„მუხლი 177^1. ძვირფასბეწვიანი ტყავის შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა

შესყიდვა, გაყიდვა ან გაცვლა ნადირობით მოპოვებული ძვირფასბეწვიანი სახეობის ნადირის გამოუყვანელი, ანდა გამოყვანილი, მაგრამ სახელმწიფო დამოდადაუსმელი (შტამპდაუსმელი) ტყავისა, რომლის სახელმწიფოსათვის ჩაბარება სავალდებულოა, თუ ეს ჩადენილია ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ ან დიდი ოდენობით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე, ტყავის კონფისკაციით“.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულება („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1964 წ., № 8, მუხ. 151) და „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულება („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1972 წ. № 11, მუხ. 225).

6. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1974 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 **მწერალ ნ. დ. აგიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ნიკოლოზ დიმიტრის ძე **აგიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 6 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 **ამხ. გ. ა. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პრესის, პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბონდო აკაკის ძე **მერკვილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 6 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 **ამხ. გ. პ. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. გივი პოლიკარპეს ძე **ხარაბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 6 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 ამხ. ა. ვ. ფირცხალავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. აკაკი ვარლამის ძე **ფირცხალავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

91 ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კონდრატი სოკრატის ძე **ციმაკურიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 მაისი.

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

92 ამხ. ი. ი. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ილია იოსების ძე **მარგველაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 21 მაისი

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 24 მაისის სხდომაზე განიხილა საკითხი ქალაქ ზუგდიდში, გარდაბნის და ვანის რაიონებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ქ. ზუგდიდში, გარდაბნის და ვანის რაიონებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში მშრომელთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ნიშნით. დიდი მუშაობაა გაწეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1973 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში გამოთქმული დებულებების და დასკვნების ცხოვრებაში გატარებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განაღდებისათვის.

აღმასრულებელმა კომიტეტებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დროულად დაიწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, რომელთა შემადგენლობაშია მოწვნავე მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. ზუგდიდის № 176-ე საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ქალია 54,4 პროცენტი, უპარტიო — 50 პროცენტი, ალკა წევრი — 9,0 პროცენტი, 30 წლამდე ასაკის — 18,1 პროცენტი. მუშა — 27,5 პროცენტი, კოლმეურნე — 27 პროცენტი.

ქალაქ ზუგდიდში შექმნილია 11 საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულია 97 კაცი, მათ შორის: ქალია 54,6 პროცენტი, უპარტიო — 48,4 პროცენტი, ალკა წევრი — 20,6 პროცენტი, 30 წლამდე ასაკისა — 22,7 პროცენტი, მუშა — 30,9 პროცენტი.

გარდაბნის რაიონში 47 საარჩევნო უბანია. საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულია 327 ამხანაგი, მათ შორის: ქალია 41,9 პროცენტი, უპარტიო — 56,9 პროცენტი, ალკა წევრი — 19,9 პროცენტი, 30 წლამდე ასაკის — 28,7 პროცენტი, მუშა — 54,1 პროცენტი.

ვანის რაიონში არის 24 საარჩევნო უბანი, საუბნო საარჩევნო კომისიებში 168 წევრია, მათ შორის: ქალია 44,0 პროცენტი, უპარტიო — 64,0 პროცენტი, ალკა წევრი — 14,3 პროცენტი, 30 წლამდე ასაკის — 15,5 პროცენტი, მუშა — 23 პროცენტი, კოლმეურნეა — 36 პროცენტი.

საარჩევნო უბნების უმრავლესობა მოთავსებულია შესაფერის შენობებში და სათანადოდაა გაფორმებული. აღმასრულებელი კომიტეტები და საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილია საარჩევნო ბლანკებით, საარჩევნო ლიტერატურით, ინვენტარით და სხვ. კომისიებს დამტკიცებული აქვთ სამუშაო გეგმები, წევრთა შორის განაწილებულია ფუნქციები და დაწესებულია კომისიის წევრთა და აგიტატორთა მორიგეობა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზუგდიდის № 176-ე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიას ჩატარებული აქვს ორი სხდომა, რომლებზეც განხილულია საარჩევნო უბნებისათვის ნომრების მიკუთვნების, კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების, არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხები.

გარდაბნის და ვანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა არჩევნების ჩატარების პრაქტიკულ საკითხებზე მოაწყვეს სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა, საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა და მდივანთა საინსტრუქტაჟო თათბირები.

ქალაქ ზუგდიდში კარგად არის დაყენებული არჩევნებთან დაკავშირებული ლექციური პროპაგანდა. ამომრჩეველთა კლუბების და ბიბლიოთეკების ძალებით, აგრეთვე საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა მიერ წაკითხულია 65 ლექცია-მოხსენება. გარდა ამისა ენგურჰაღლდკომბინატის № 10 საარჩევნო უბანში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე — „სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო“ და „საარჩევნო უბანი“, ლენინის № 3 საარჩევნო უბანში მოეწყო შეხვედრა სამამულო ომის გმირებთან და წარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავეებთან. გარდაბნისა და ვანის რაიონებში ჩატარდა აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელების თათბირი. სათანადო ყურადღება ექცევა ამომრჩეველთა კლუბების გაფორმებას და მათი საარჩევნო ლიტერატურით უზრუნველყოფას.

ვანის რაიონის სოფლების სალხინოს, დიხაშხოს, შუაგორას, მუქედის, ზედავანის, გარდაბნის რაიონის სოფლების დიდი ლილოს, მარტყოფის, დაბა კოჯრის ამომრჩეველთა კლუბებმა და საარჩევნო უბნებმა შეხვედრები მოუწყვეს ახალგაზრდა ამომრჩეველებს. ამომრჩეველთა კლუბებსა და ბიბლიოთეკებში გამოშვებული აქვთ კედლის გაზეთები და სხვ.

არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს სისტემატურად აშუქებს ადგილობრივი პრესა და რადიო.

ამასთან, ზუგდიდის საქალაქო, გარდაბნის და ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საქმეში გაეჩინათ ზოგიერთი ნაკლოვანება.

ვანის რაიონის სოფლების ქვედა ბზვანის და მიქელეფონის, გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარის, ნაზარლოს, ყარაჯალარის და ჟდანოვის საარჩევნო უბნებში არ არის მოწყობილი სატელეფონო კავშირი. გარდაბნის რაიონის ჯანდარის, ნაზარლოს და ყარაჯალარის საარჩევნო უბნები შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული. სათანადოდ არ არის გაფორმებული ვანის რაიონის კიროვის, სულორის, ძულუხის და მიქელეფონის საარჩევნო უბნები. სააგიტაციო მუშაობა სუსტად არის გაშლილი ციხესულორის, გადიდის და ამაღლების სასოფლო საბჭოებში.

ვანის რაიონის დაბა ვანის, გარდაბნის რაიონის ჯანდარის და ნაზარლოს საუბნო საარჩევნო კომისიებს შემოწმების დროს შედგენილი არ ჰქონდათ სამუშაო გეგმები, კომისიის წევრებს შორის განაწილებული არ იყო ფუნქციები.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეცდომები დაუშვა საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობათა დამტკიცებისას (დამახინჯებულია გვარები, სახელები, მამის სახელები და წამომყენებელი ორგანიზაციების სახელწოდებები), ამომრჩეველთა სიებში 1956 წელს დაბადებულთა ერთ ნაწილს არ უწერია დაბადების თვე და რიცხვი, რის გამოც სიაში შეტანილი აღმოჩნდნენ პირები, რომლებიც არჩევნების დღისათვის 18 წლისანი არ იქნებიან. ამომრჩეველთა ნაწილი საერთოდ არ არის შეტანილი სიებში და სხვ.

ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გაშლილი სააგიტაციო მუშაობა დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, და განსაკუთრებით მოსახლეობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა,

ზუგდიდის საქალაქო, გარდაბნისა და ვანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება დებულების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ზომები იმ შენობების მოწყობისა და გაფორმებისათვის, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო უბნები, უზრუნველყონ ისინი სატელეფონო კავშირით, საარჩევნო ყუთებით, ხმის მისაცემი ჯიხურების მოსაწყობი მასალით, ბეჭდებით და სხვა საკანცელარიო ნივთებით;

გ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, მიაღწიონ იმას, რომ ხმის უფლების მქონე არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს არჩევნებში მონაწილეობის გარეშე;

დ) სათანადო მუშაობა გაშალონ ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის; მოაწყონ მათი შეკრებები არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების განმარტების მიზნით;

ე) ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ წინასაარჩევნო კრებები დეპუტატობის კანდიდატებთან შესახვედრად; მიაღწიონ იმას, რომ ეს შეხვედრები ტარდებოდეს საქმიან ვითარებაში, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციის ნიშნით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრის დროს წამოყენებული განაწესების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების საქმეს;

ვ) საუბრების, მოხსენებების, გაზეთებისა და რადიოგადაცემათა საშუალებით ფართოდ გააცნონ მოსახლეობას საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ამომრჩევლებისადმი, დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფია; ამასთან გააქტიურონ ნდობით აღჭურვილი პირების მუშაობა;

ზ) დროულად განიხილონ არჩევნების საკითხთან დაკავშირებით მშრომელთა საჩივრები და გასცენ მათ ამომწურავი პასუხები.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მიეცა დავალება უზრუნველყოს ყველა საარჩევნო უბანი კავშირგაბმულობით, არჩევნებთან დაკავშირებული ცნობების გადაცემა მოაწყოს დროულად და ზუსტად.

რჩევა მიეცა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტსა და რესპუბლიკურ პრესას ფართოდ გააშუქონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკალათ შეამოწმონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმავე სხდომაზე განიხილა „ტყიბულის საქალაქო, დმანისისა და გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი მცხეთისა და ორჯონიკიძის რაიონებში. აღინიშნა, რომ დასახელებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ ადმინისტრაციულ დარღვევათა აღსაკვეთად. ისინი არსებითად სწორად იხილავენ საქმეებს, რითაც ხელს უწყობენ საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვას.

ამასთან ერთად, ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში ადმინისტრაციულ კომისიებს გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. ისინი ხშირად არ იცავენ ადმინისტრაციული დარღვევის საქმის განხილვისათვის დებულებით დაწესებულ 10-დღიან ვადას. მცხეთის რაიაღმასკომთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას ვადის დარღვევით განხილული აქვს საქმეთა 13 პროცენტი, ხოლო ორჯონიკიძის რაიონის ადმინისტრაციულ კომისიას — 16 პროცენტი. მოქ. ივლიევის საქმე, რომელმაც დაარღვია რეწვის წესები, მცხეთის რაიონის ადმინისტრაციულმა კომისიამ განიხილა ერთი თვის დაგვიანებით. ორჯონიკიძის რაიაღმასკომის ადმინისტრაციულმა კომისიამ ასეთივე დაგვიანებით განიხილა მოქ. ფანქველიშვილის ანალოგიური საქმე.

იშვიათად ტარდება კომისიის სხდომები. ამის გამო თითოეულ სხდომაზე იხილავენ დარღვევის 20-30 შემთხვევას. ამასთან, როგორც წესი, ადმინისტრაციული დარღვევის საქმეების განხილვა არ ხდება დამრღვევის მუშაობის, სწავლის თუ საცხოვრებელ ადგილას. ეს ამცირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

კომისიების სხდომათა ოქმები არასრულყოფილადაა შედგენილი — არის შემთხვევები, როდესაც საქმეს არ ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება (მცხეთა), არ არის აღწერილი განხილული საქმის არსი, არ არის მითითებული თუ კანონის რა ნორმაა დარღვეული, არ არის აღნიშნული დამრღვევის დაბადების წელი, სამუშაო თუ საცხოვრებელი ადგილი და სხვა საჭირო მონაცემები.

ორივე რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები სხვადასხვა პირის მიერ ჩადენილ გადაცდომათა მასალებს აერთიანებენ ერთ საქმედ და იღებენ ერთ დადგენილებას (მაგალითად, მცხეთის რაიონში გაერთიანებულია მოქ. მოქ. გოდიშვილის, მშვდლიშვილის, გოგოლაევის, ტოგოევის, სისაურის, ბეკურიშვილისა და სხვათა; სულ 10 პირის საქმე).

ადმინისტრაციული კომისიები ხშირად არ მიუთითებენ მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადასა და წესს, ამასთანავე არ წარმოებს დამრღვევისათვის დადგენილების ასლის ჩაბარების თარიღის აღრიცხვა, რაც შეუძლებელს ხდის იმის გარკვევას თუ რამდენად ზუსტად იცავენ ჩაბარების ვადას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული კომისიები არ აკონტროლებენ თუ რა ზომებს იღებენ მშრომელთა კოლექტივები იმ პირთა მიმართ, რომლებზეც მიღებული აქვთ კომისიის დადგენილება ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ.

კომისიები დამრღვევებს უმთავრესად თვითონ ადებენ სასჯელს ჯარიმას სახით, მაშინ როდესაც დებულება ითვალისწინებს ადმინისტრაციული დარღვევის საქმეების ამხანაგური სასამართლოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემას.

მცხეთისა და ორჯონიკიძის რაიონების ადმინისტრაციული კომისიები თავიანთ მუშაობას განსაზღვრავენ მხოლოდ კონკრეტულ საქმეთა განხილვით, ყურადღებას არ აქცევენ ადმინისტრაციული გადაცდომის წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენას, მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლას და, საჭიროების შემთხვევაში, არ აყენებენ საკითხს ზომების მისაღებად მშრომელთა კოლექტივებისა და აღმასკომების წინაშე.

კომისიების მუშაობა და მათ მიერ განხილული კონკრეტული საქმეები ნაკლებად შუქდება ადგილობრივ პრესასა და რადიოგადაცემებში.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ უწევენ ადმინისტრაციულ კომისიებს; სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე არ ისმენენ მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ, ხოლო პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებენ სათანადო ზედამხედველობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მცხეთისა და ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის პრაქტიკა; აღმოუჩინონ მათ საჭირო დახმარება დებულებისა და ცალკეული საკანონმდებლო აქტების გაცნობაში.

ფართოდ ჩაიბან ამ საქმიანობაში სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაკები;

ბ) წარმართონ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა დებულების სრული შესაბამისობით; მნიშვნელოვანი საქმეები განიხილონ დამრღვევის მუშაობის, სწავლის თუ საცხოვრებელ ადგილას, მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით; ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ ადმინისტრაციული კომისიების მასალების გაშუქებას ადგილობრივ პრესასა და რადიოგადაცემებში;

გ) სისტემატურად შეისწავლონ ადმინისტრაციული გადაცდომის წარმომშობი მიზეზები და მიიღონ სათანადო ზომები მათს აღსაკვეთად;

დ) უზრუნველყონ, რომ ადმინისტრაციული კომისიები დაჯარიმების გარდა იყენებდნენ ადმინისტრაციული სასჯელის სხვა ღონისძიებებსაც გადაცდომის სიმძიმისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ხოლო საჭირო შემთხვევებში მასალები განსახილველად გადაუგზავნონ ამხანაგური სასამართლოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პროკურატურას რჩევა მიეცა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაზე.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა შეისწავლონ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის პრაქტიკა და მიიღონ ზომები მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 244 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		7
ქ. რუსთავიდან		3
ადიგენის	რაიონიდან	1
ახალქალაქის	„	41
ასპინძის	„	15
ბოლნისის	„	13
ბორჯომის	„	2
გეგეჭკორის	„	13
გორის	„	7
თელავის	„	1
თერჯოლის	„	2
თიანეთის	„	2
ლაგოდეხის	„	54
მაიაკოვსკის	„	9
მარნეულის	„	74